მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა

ახალი ნაკადი

ფასი 3 მან.

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტურ მაშვრალთა კავშირის ორგანო

კვირა 28 მარტი,

№ 3 1920 წ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქ. № 139, ფული უნდა გამოიგზავნოს: რუსთაველის პროსპექტი სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხ., **პლ. ლეფავას.**

წელ. 2. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით წელ. 2.

ამხანაგებო! გასწოვდეთ, რომ **„ახალი ნაკადი“** თქვენი ინტერესების დამცველია. გაიღეთ წვლილი გაზეთის ფონდისათვის და გამოგზავნეთ წერილები. **ამხანაგებო!**

გერმანიის უკანასკნელი ცნობები. ბების მიხედვით გენერალ ლიუტვიცის ავანტიურა უკვე დამარცხებულა. აჯანყებულმა ჯარმა დასტოვა უკვე ბერლინი და მთავრობაც ებერტის მეთაურობით ბრუნდება დედა-ქალაქში. ამგვარად სამხედრო პარტიის ძონარქისტული გამოსვლა დამარცხებულად ჩაითვლება, ხოლო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაუნდობელი ომის ბოროტი ჰენიოსი, გერმანიის ხალხში ფრიად პოპულიარული ფელდმარშალი ჰინდენბურგი ამ შეთქმულების გარეშე დარჩა. თუ დავუჯერებთ, იმ ცნობებს, რომლითაც ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევა თითქმის უზრუნველყოფილია, წარმოვიდგენთ იმასაც, რომ ეს ცნობილი სარდალი პოლიტიკურ ალღოსაც მოკლებული არ არის და თვის სიტყვას მაშინ დასდებს სასწორზე, როცა ამისათვის ხელსაყრელ პირობებს იხილავს. ამ პირობების შემზადება კი ადვილი საქმეა. და ამაში უპირველესად ყოვლისა ბრალი მიუძღვის ანტანტის სახელმწიფოების საზღვარ-დაუდებელ შურის ძიებას და შეურაცხყოფას, რომელსაც იგინი აყენებენ დიდი კულტურისა და თავმოყვარეობის ხალხს-გერმანელებს. ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის ამისა, თუ რა მწვავე რევანშის გრძნობა დამკვიდრებულა შეგინებული და შეურაცხყოფილი ერის არსებაში. ამ გრძნობას გამარჯვებული სახელმწიფოები თავისი მოქმედებით აღრმავებენ და ნიადაგს უმზადებენ დიდ ეროვნულ გულისწყრომას, რომელიც თვის კალაპოტში ველარ დაეტევა და ვინ იცის რა სახით გადმოხეთქავს... ამ გრძნობის არსებობა სხვა და სხვა თვალთაზრისით ცუდია, თუ კარგი, ეს სულ სხვა საკითხია, ცხადია მხოლოდ ის, რომ იგი ფაქტია. და ამ ფაქტს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის თანამედროვე ცხოვრებაში. ამ მოვლენით სარგებლობენ და ისარგებლებენ რეაქციის სულის ჩამდგმელნი და შეეცდებიან მყვირალა შავ — რაზმული პატრიოტული მოწოდებით ააფორიაქონ ისედაც განაწამები ხალხის ცხოვრება. და ამ დროს არ უნდა სდუმდეს მოკავშირე სახელმწიფოების რევოლიუციური პროლეტარიატი, იგი უნდა თავს ესხმოდეს თავის მთავრობას და ცდილობდეს, იხსნას ტყვეობისგან თავისი თანამოძმენი, იხსნას და შეუერთდეს მათ დიდი მისიის შესასრულებლად. ეს კედელი თუ დროზე არ იქნა დანგრეული, რეაქცია ძალას მოიკრეფს და ცალ-ცალკე დაამარცხებს თავისუფლების თავ-განწირულ რაზმებს. მაგრამ არის მეორე მიზეზიც, რომელიც გერმანიის ცხოვრებაში მარხია, ეს არის შერყევა, გაუბედავი და უსისტემო მოღვაწეობა გერმანიის ეხლანდელი მთავრობისა, რომელიც ერთსა და იმავ დროს ღმერთსაც და „მაშინასაც“ ემსახურება; იგი ცდილობს შეარიგოს შეურიგებელი, შეათანხმოს ინტერესები მუშა ხალხისა და ბურჟუაზიული წრეებისა, და განა ცხადი არ არის, რომ ასეთი შერიგება და შეთანხმება სრულიად შეუძლებელი და წარმოუდგენელია!

მართალია, ჩვენებური მენშევიკების უებრო მწერლებიც კი ცდილობენ გაამართლონ ასეთი გზა, გერმანიის მთავრობის მიერ არჩეული, მაგრამ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ფრაზოლოგიასა და საქმიანობაში გართული ხალხი ერთი წუთითაც კი არ ჰფიქროფს, რომ ეს გზა იმ დენად მოლიპული და ფეხ-მოსატეხია, რომ მასზე შემდგარი ბევრი გუშინდელი „სოციალისტი“, დღეს ბურჟუაზიის ბონა მორჩილად გამხდარა. განა ცოტაა ამის მაგალითი?

და ესაც რომ არ იყოს, ვის უხვევენ ეს ვაჟბატონები თვალებს? სად გაგონილა, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიული რეფორმებით დიდ გარდაქმნას ნიადაგი შემზადდებოდეს!.. ამ ნიადაგზე სწარმოებს თავ-აშვებული ბრძოლა და და დემაგოგია ძალ-უფლებისათვის, მაგრამ ამასთან რა აქვს საერთო მუშათა კლასს!

ამ მოსაზრებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანიის მშრომელი ხალხი ვერც სპარტაკელებისა და კომუნისტების გზას აირჩევს, რადგან არსებითად იგიც ძალა-უფლებისათვის ბრძოლაზეა დაფუძნებული. ეჭვი არ არის და ამის ნიშნები უკვე სჩანს, რომ გერმანიის მუშათა კლასი დამოუკიდებელ მოძრაობას გაძლიერებს რევოლიუციურ სინდიკალიზმის დროშის ქვეშ მოიყრის თავს.

ჩვენი ტაქტიკის გამო.

(გაგრძელება)

არა, სინდიკალისტურ მოძრაობას, ვიმეორებთ, ყავს თავის იდეოლოგები და აქვს თავის იდეოლოგია ეს იდეოლოგები გახლავთ სინდიკალისტ მუშათა ან და სინდიკატთა წარმომადგენლობის კონგრესები და ის პირები, რომელნიც ამ კონგრესებზე გამოთქმულს სინდიკატთა წარმომადგენლების აზრს შეურყვნელათ და ვიწრო პარტიულ ფერების მიუკემლათ აყალიბებენ. დიახ, სინდიკალიზმის იდეოლოგია განწმენდილია როგორც ვიწრო ანარქისტულ, აგრეთვე მარქსისტულ ცოდვებისგან. სინდიკალიზმს ყავს ისეთი პარები, რომელთაც აუღეს ალღო ამ ტიპს მუშათა მოძრაობისას, დაიწყეს იქ თანამშრომლობა და გავრცელება იდეებისა მთელს მსოფლიოში, ამთი გვარებია: გაბრიოლა, ოლა, ლაგარდელი, ლეონე, და სხვ. მართალია, მათ დღეს სინდიკალისტურ მოძრაობის ბუდეში—საფრანგეთში შეიძლება ისეთი გავლენა არა აქვთ, მაგრამ მეორე ქვეყანაში—იტალიაში სადაც საფრანგეთზე ნაკლებ არ არის ეს მოძრაობა ფეხმოდგმული, დიდის გავლენით სარგებლობენ და უფრო მეტსაც ვიტყვით—ისინი საფრანგეთის სინდიკტებში დღითიდღე ახერხებენ ანარქისტულ ზღუდეებაის ჩანგრევას; დავანებოთ თავი ჩვენს კერძო შეხედულებებს ამის შესახებ. მათივე საშუალებით გავიგოთ რას გვასწავლიან ისინი რა არის სინდიკალიზმის მიზნები. ამის შესახებ ჩვენ ეხლა სხვა და სხვა ავტორებს ნუ შევაწუხებთ, გავიხსენოთ „შრომის საერთო კონფედესაციის“ კონგრესი, რომელიც მოხდა ქ. ამენიეში 1906 წელს ოქტომბრის პირველს ნახევარში. კონგრესმა გარკვევით გამოთქვა ამის შესახებ თავისი აზრი და სთქვა, — სინდიკალისტურ მოძრაობას ორი მთავარი მიზანი აქვს დასახულიო. პირველი ყოველ დღიური მოთხოვნილებებისათვის როგორც მაგ. ხელფასის მომატება, სამუშაო ღღის შემცირება და სხვ. ასეთებისთვის ბრძოლა და მეორეც სრული განთავისუფლება პროლეტარიატისა ეკონომიურ მონობისაგან. კონგრესის აზრით ეს ორი საქმე ყოველ დღიური საჭირბოროტო დამომავალი—ყველა იმისთვის, ვინც თავის შრომას აქირავებს, ერთნაირათ არის საინტერესო, განურჩევლათ იმისა თუ ესა თუ ის პირი როგორის ფილოსოფიურის შეხედულების არის და პოლიტიკურის კრედოსია.*)

მაშასადამე თუ კი ასეთია სინდიკალიზმის მიზნები, ის გარდამავალი ორგანიზაცია ყოფილა რომელსაც მიზნათ დაუსახავს მაშვრალთა მდგომარეობის გაუმჯობესება არსებულს პირობებში და აგრეთვე უკისრია მათი მიყვანა სოციალიზმის კრამდი, სადაც მას უკვე მისია შესრულებული იქნება.

და თუ კი ეს ასეა, რასაც ვგონებ ვერავინ ვერ უარყოფს, მაშინ ჩვენის აზრით სინდიკალისტურ მოძრაობას, რომ ვინმემ თავისი პროგრამები მოახვიოს თავზე ამის უფლება არავის არა აქვს, ვინაიდან ეს იქნება ძალდატანება ისეთ ორგანიზაციაზე, რომელსაც სხვა და სხვა მიმდინარეობის მიმწევარ პირთა შორის გამოუძებნია საერთო ენა, საერთო საშვალებები საერთო მიზნების მისაღწევათ.

ეს გათვალისწინებული ქონდათ სინდიკალისტებს და 1895 წელს ქ. ლიმოჟში მომხდარ საფრანგეთის სინდიკატთა კონგრესზე, რომელსიც დაარსდა „შრომის საერთო კონფედერაცია“, დადგენილ იქნა: ყველა ის ორგანიზაცია, რომელნიც კონფედერაციაში შევლენ უნდა იდგენ ყოველივე პოლიტიკურ პარტიათა გარეშე.*)

მხოლოდ რა თქმა უნდა პერსონალურათ ესა თუ ის პირი შესაძლებელია იყოს ამ კორპორატიულ დაწესებულების გარეშე, მუშაობდეს იმ პარტიაში, რომელსაც ის თანაუგრძნობს. ასეთი აზრი გამოითქვა უკვე აღნიშნულს ამენიეს კონგრესზე.**)

ახლა გადვიდეთ საქართველოს სინდიკალისტებზე. სინდიკალიზმის პრინციპს თუ მივიღებთ მხედველობაში, გავითვალისწინებთ მის მოქმედების ასპარეზს. ჩვენ განსაკუთრებულს პირობებში ვიმყოფებით. ჯერ ერთი ჩვენ არა ვართ სინდიკალისტების წარმომადგენელნი, ჩვენ მხოლოთ ვიზიარებთ სინდიკალიზმის მოძღვრებას ჩვენ მიერ მოკლეთ გამოთქმულს ფარგლებში, და უნდა შევეცადოთ, რათა ასეთი ტიპი მუშათა მოძრაობისა ჩვენშიც იქნეს გავრცელებული, და ჩვენი მუშათა კავშირები არ შეადგენდენ სოც.-დემოკრატიულ პარტიის ფილიალურს განყოფილებას, ვინაიდან ამ კავშირებში გარდა სოც.-დემოკრატებისა სხვანიც არიან წარმოდგენილნი, მეორეც ჩვენ მხოლოთ და მხოლოთ ამ ფარგლებში შეგვიძლია საერთო ენის მოძებნა და თუ უფრო შორს გავიწევით მაშინ, შეიძლება ჩვენს კავშირში სხვა და სხვა პოლიტიკურის მოსაზრების წევრები აღმოჩდეს და ეს გარემოება კი გაიჩაღებს შინაურს „ომს“ ეს უნდა იცოდეს ჩვენის კავშირის ყველა წევრმა და ეგევე არ უნდა დაევიწყებიათ ამხანაგ „ტაქტიკის“ ავტორებს, რომელთაც ფიქრათ მოსვლიათ სინდიკალიზმის ნავით ანარქიზმის ზღვაში შეცურება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენში ჯერ არ არსებობს არც ერთი სინდიკატი ისეთი სახისა როგორიც საერთოდ სინდიკალისტებს ესმის, რომელზეც ჩვენ შეგვეძლოს დამყარება და მათის დახმარებით სამოქმედო ასპარეზის გაფართოება.

ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა ჩვენ გვავალებს განსაკუთრებულის სიფრთხილით მოვექცეთ ყველა საკითხს. და არ განვიზრახოთ, რომ ჩვენი სუბექტიური მოსაზრებანი განსაზღვრულ მსოფლ მხედველობაზე დამყარებული მოვახვიოთ სხვას თავზე.

სწორეთ ამ თვალთსაზრისით გადავთვალიერე წერილები „ტაქტიკა“, დავრწმუნდი რომ ამხანაგებს ეს კარგად ვერ გაუთვალისწინებიათ. ჩვენის აზრით, ბევრს ადგილას ამ წერილებს ანარქისტული დაღი აზის, რომელიც პრინციპს სინდიკალიზმისას ზოგიერთ შემთხვევაში არ დაემორჩილება.

ჩვენს პრინციპებს მე ამ ჟამათ არ შევეხებით დავკმაყოფილდეთ ჯერ-ჯერობით ზემოთ თქმულით. მხოლოთ შევეხოთ „ტაქტიკის“ ზოგიერთს მუხლებს, რომლის განმარტებაც არ გვაკმაყოფილებს ერთას მხრივ როგორც სინდიკალისტურ მოძღვრეობის აღმსარებელს და მეორე მხრივ, როგორც სამშობლო ქვეყნის ბედ-ღბალზე მზრუნველს*).

სერ. გერსამია.

*) „Синдикаты и Партія“ ფრანგულიდან ნათარგმნი კრუგლაკოვის მუხ. გვ. 77.

**) Леонъ Блюмъ—Конгрессы Французск. рабочихъ и соціалистовъ. გვ. 97 და 98.

***) „Синдик. и Партія“ გვ. 77

*) ვათავსებთ სერ. გერსამია წერილს და სურვილს გამოვსთქვამთ სხვა ამხანაგებმაც თავისი აზრი გამოსთქვან ამ საკითხზე ჩვენს გაზეთში.

რედაქცია.

შენიშვნები.

II.

მუშათა მოძრაობა ჩვენში ოთხმოცდა ათიან წლებიდან იწყება, თუმც ჩანასახი ამ მოძრაობის უფრო ადრე უნდა ვეძიოთ, მაგრამ გარკვეული სახე მას არ ჰქონია. ოთხმოცდა ათიან წლებში კი მან უფრო განსაზღვრული მიმართულება მიიღო, მეთაურობა ამ მოძრაობისა მესამე დასის ინტელიგენციამ იდვა თავს იგივე მეთაურობს ეხლაც. უნდა ავღნიშნოთ, რომ სულ სხვა პირობები და მდგომარეობა შეიქნა საქართველოში ამ ხრით, იგი არა გავს ევროპის არც ერთ ქვეყნის მუშათა მოძრაობას ჩვენში ეს განსაკუთრებული იყო დღემდის, თუმც ეხლა დიდი დიფერენციაცია ხდება მუშათა ორგანიზაციებში. რუსეთში, მაგალითად, მესამოციან წლებიდან იწყება მუშაგლეხთა მოძრაობა, რომლის მეთაურებად გამოდიოდენ „ნაროდნიკები" ესერები და უკანასკნელ ხანამდის ჩვენ ვიცით, რომ მათ დროშის ქვეშ იყრიდა თავს დიდი უმეტესობა რუსეთის მშრომელი ხალხისა, დღეს იქაც სრულებით შეიცვალა მდგომარეობა, ამ პარტიამ დაკარგა გავლენა და მას დაეპატრონა ბალშევიკები რამ შეჰქმნა ასეთი მდგომარეობა, მეტათ საყურადღებო; მთელი ორმოცი და ორმოცდა ათი წელი ისინი ხელმძღვანელობდენ ამ მოძრაობას შეჰქმნის ბრძოლას და თავგანწირვის საუკეთესო ისტორია და დღეს კი მესაჭოება ერთბაშად ხელთ იგდო იმ პარტიამ რომელსაც უფრო მცირე ღვაწლი მიუძღოდა?

შეიძლება უფრო შორსაც წავიდეთ და გადავავლოთ თვალი ევროპის მუშათა მოძრაობას რომ მიზეზი გარკვეულ იქნას, ჩვენ ვიცით, რომ—მუშათა მოძრაობის სამშობლოთ ევროპა ითვლება იქიდან ვსწავლობთ დღეს ჩვენც მთავარ დებულებებს.

არ არის არც ერთიმაგალითი ისტორიაში, რომ რომელიმე მოძრაობას არ ყოლოდეს თავის მეთაური, ამ მეთაურების საშუალებით და ხელმძღვანელობით იწყებოდა ყოველი დიდი ისტორიული გარდაქმნა. ევროპის მუშათა კლასის მოძრაობასაც ჰყავდა საუკეთესო ხელმძღვანელები, ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდი მუშები აარსებდენ სხვა და სხვა ორგანიზაციებს, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიური ხასიათისას. ამ ორგანიზაციებმა დიდად შეუწყვეს ხელი საფრანგეთის დიდ რევოლიუციის წარმოშობას და მონარქიულ წესწყობილების დამხობას. მუშათა კლასი სიყვარულით მოიგონებს საფრანგეთის რევოლიუციონერებს, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთნოდენ იგინი საფრანგეთის რევოლიუციის მიერ შემუშავებული, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია ძვირფასია არა მარტო საფრანგეთის ხალხისათვის, არამედ ყველა მებრძოლისათვის. დეკლარაციის პირველი მუხლი გვეუბნება „ადამიანები იბადებიან თავისუფლათ და არიან უფლებით თანასწორნი" ამ პრინციპის აღიარება მაშინ დიდი პროგრესი იყო კაცობრიობის ცხოვრებაში. მაგრამ საზოგადოდ პოლიტიკურმა გარდაქმნამ ვერ იხსნა მუშათა კლასი ეკონომიურ ბატონობისაგან. ეს ნათლად დაამტკიცა ჯერ საფრანგეთის რევოლიუციამ შემდეგ რუსეთის რევოლიუციამაც, საფრანგეთის ერმა დიდი ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ მოიპოვა რესპუბლიკური წესწყობილება, მაგრამ ეს ვერ შეიქნა თავდები მუშათა კლასის განთავისუფლებისა. მართალია, ხალხმა პოლიტიკური უფლებები მოიპოვა მაგრამ ეს არ კმაროდა მუშათა კლასისათვის ის პოლიტიკური პარტიები რომელნიც ხელმძღვანელობდენ მაშინ ამ კლასს გარდა კომუნისტების, პოლიტიკურ უფლების მოპოვებას დაჯერდენ ასე იყო ეს, ასეა აქ რუსეთის რევოლიუციაში. თუ უწინ ესერების და ნაროდნიკების გავლენის ქვეშ თავს სწირავდენ გმირი მუშები, ღღეს მათ ჩამოცილდენ, რადგან პოლიტიკური პარტიები დაკმაყოფილდენ ნიკოლოზის ტახტის დამხობით, და პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით ერთ დროს ცნობილი კერენსკი, რომელიც მესამე სათათბიროში მუშების დამცველად გამოდიოდა ხიშტებით ემუქრებოდა მუშებს და პატარა ერებს, როდესაც შეიქნა მინისტრი. მაგრამ, ხან მოკლე იყო მუქარა მისი, რუსის მუშები მას გადაუდგენ და სხვა გზა აირჩიეს. ძლიერ საეჭვოა რომ დაპირებული ბედნიერება გაუმართლონ რუსეთის მუშებს ახალმა ხელმძღვანელებმა მხოლოდ, ერთი კი ცხადია, რომ რუსეთის მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა დღეს მათ მისდევს და მათი ლოზუნგების ქვეშ იბრძვის.

(შემდეგი იქნება).

იონა ბ.

წერილი ტფ. ტრამ. სავადმყოფო კასაზე!

ტფ. ტრამვაის სავადმყოფო კასა არ არის სწორ და უტყუარს ნიადაგზე დამდგარი.

რომელიც უნდა წარმოებდეს სწორი და სამართლიანი ხაზით; მუშების საკეთილდღეოდ; მუშების აუცილებელი უფლებები ზოგჯერ ილახება და ირღვევა, მუშების უფლებები. იმდენად არის დაცული, რამდენადაც ხსენებული კასის გამგეობა მეგობრულად შეიწყნარებს ავადმყოფის მდგომარეობას.

ტეხნიკური მხარების ზედამხედველიც ცხადია, უნდა მოიკოჭლებდეს ამ შემთხვევაში, ან და დიდი ხნის ერთ და იმავე ადგილზე შებერებით მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება აღარ აინტერესებს. კასის წევრებად ითვლება დაახლოებით ათას ხუთასი (1500) კაცი, ყველა წევრს თვიური გადასახადი ხდება დაახლოებით 100 მან. ორ მესაჭედს კი დირექცია უმატებს. ამ ჟამათ შეიძლება მუყაითმა გამგეობამ უკეთეს დონეზე დააყენოს საქმის არსებითი მდგომარეობა ეხლა ჩვენ რა გვაქვს!! არსებითად არაფერი; არა გვაქვს საკუთარი საავადმყოფო, დედა ქალაქშიც კი, თუ არა ქალაქს გარედ აგროებს ვინ მოგვცემს. ავადმყოფს ხშირად რომელიმე მიჩითებულ სავადმყოფოში, საწოლი არ უხვდება, ერთიდგან მეორეში ძულებულია მოძებნოს დასაწოლი ალაგი, ეს კიდევ წვრიმალნია; ჩვენი მუშები უმფრო ხშირად ფილტვების სისუსტით და კუპის კატარით არიან დასნეულებული, ვინაიდან თავის დროზე ჭამასმას მოკლებულნი არიან ამათვის კი საჭირო ხდება დასვენება ჰაერის გამოცვლა, წყლები და სხვა... მაგრამ საუბედურო ყველა ზემოდ ჩამოთვლილს მოკლებულნი არიან ჩვენი მუშები. არცეთ საგარაკო ადგილზე უბრალო სახლიც კი არ გვაქვს დაქირავებული, რომ ჩვენმა ხელ-მოკლე მუშებმა ოდნავ გაუმჯობესონ ჯანის სისაღე.

ჩვენ ხელთა გვაქვს კიდევ ასეთი მაგალითები! ხუთი-ექვსი წლის სამსახური დასნეულებული ამხ. მუშები, არც კვდარი და არც ცოცხალი, დახმარების მაგიერ უბრალო ფალასივით გადაგდეს ქუჩაში ეს კი შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს იქაც კი; სადაც თქვენ მოაწყვეთ სოციალისტურად ჩვენი ქვეყანა ასეთი ბედი გაიზიარა ცხოვრებელმა, რომელსაც საექიმო დახმარების მაგიერ ქუჩაში გამოუძახეს, მოსარჩენი პირი აღარ გაქვსო ჯერ მუშებმა შეიწყნარა მისი ტრაღიკული მდგომარეობა, ოდნავ მატერიალურად აღმოუჩინეს დახმარება, შემდეგ შეიბრალა სპ. თედოშვილმა და ქალაქის თვითმართველობიდან დიდათ ხლაფორთიხ შემდეგ, წყალობასავით 600 ათასი მანეთი გადმოუგდეს.

ჩვენ ამნაირ წესს ვერ შეუთანხმდებით' რადგან ეს თუ ნებავსთ ძველი ბიროკრატიზმია; და დაუშვებელ ცოდვად, უნდა ჩაგეთვალოსთ, ვინაიდან თქვენ ხართ სოციალისტური სახელის მატარებელი.

მუშას, რომელსაც თვისი ჯანი და ღონე ცივს და ნესტიან ქარხანაში დაუტოსია, ქუჩის ჭუჭყიან მტვერს უდროვოდ მოუდუნებია მისი სასიცოცხლო ძარღვები, ნუ თუ, დროებითი საარსებო ლუკმა პურით ვერ უნდა ვუზრუნველყოთ! მაგრამ გამგეობას არ აქვს ორგანიზაციულ ნიადაგზე ტეხნიკური მხარები ჩამოყალიბებული, ერთ გვარი წესდება შეიძლება თქვენ გვითხრათ, ჩვენ ყველაფერი გვაქვსო მაგრამ ჩვენ სულ სხვა გვაინტერესებს, თქვენი წესდება თქვენ საკუთარს სურმილებზე არ უნდა იყოს დამყარებული არამედ იგი უნდა იყოს მიმართული მუშების სასიცოცხლო ინტერესების კენ

ჩვენ უკვე მგონი საკითხს დავშორდით, კვლავ დაუბრუნდეთ. როდესაც მუშა ავად არის, მაშინ ავადმყოფს ეძლევა ორი წილი „ეთრი ბილიუტენით" მაგრამ თვეში იღებს მხოლოდ 30 ათი დღისას ისე კი მუშები მუშაობენ თვეში 34-35) დღეს მე ვფიქრობ ავადმყოფი უნდა იღებდეს მეორე რიცხვის თანხმად რადგან გამგეობა პროცენტებს უკანასკნელ რიცხვებზე იღებს; ჩვენთვის საინტერესოდ რჩება ეს ხუთი დღე სადით მოგზაურობს, მარცხნით თუ მარჯვნით!!

მეორეც კიდევ ის ჩვენი მუშა-მოსამსახურეების ნაწილი უმრავლესობა, ნაძალადევში, და დიდუბეში ცხოვრობს; და აქ. ყოველგვარი დახმარება თავის დროზე უნდა უსწრებდეს ავადმყოფს მაგრამ ჩვენ ამის ვერ ვხედავთ. სამშობიერო სახლი, არამიანცის სავადმყოფოშია ერთი მეორე კი ოლდას ქუჩ. მკითხველი დამეთანხმება რომ ეს ძლიერ შორს არის და იმიტომ ნაწილი ჩვენი მუშა მოსამსახურებისა ვერ სარგებლობენ; ამით ამნაირად მრავალი ასეთი დაბრკოლებებია. მაგრამ უნდა აშკარად ითქვას, ეს ხალხი უფლებით იმდენად დაბრმავდენ რომ რაიმე სასიცოცხლო კრიტიკა გაუწიო და რაიმე საწინააღმდეგო წამოგვცდეს, გაკიცხულად და „პარიკანიეთ" მოგნათლავენ თითონ გიჩივლებენ და თვითონვე დაამოწმებენ; მსაჯულებიც თვითონვე არიან; ასე იცოდენ უწინ „დერჟიმორდებმა" მადლობა ღმერთს! ჩვენ ხო. დერჟიმორდების სამეფოში არ ვცხოვრობთ! ამიტომ ჩვენი მოქალაქეც ციცილებული უნდა იყოს დერჟიმორდების სასამართლოს.

ჩვენ გვახსოვს ერთერთი ჩვენი ამხანაგის მაგალითი წარსულ წელში, რომელმაც მზის სინათლეზე გამოიტანა გამგეობის მოქმედება, და განსაკუთრებით ზოგიერთი წევრის თავგასული მოქმედება; მაგრამ ამისთვის იყო სწორედ გამგეობამ როგორი ბიროკრატიული თითი უჩვენა რომ მეორედ, არავინ იხმაროს ასეთი მოქალაქობრიობაო. და მათ მოქმედებაში ისიც ცხადადა სჩანდა, რომ მუშებს ჩვენ არ ვანიჭებთ სწორ. უფლებიანობას და მეორედ არევინ ჩაიდინოს ასეთი თავხედობაო.

ზოგიერთ შემთხვევაში, მეგობრული თვალსაზრითი ექცევიან ზოგიერთ ავადმყოფს, ზოგს კი არა.

მეტი, სამართლიანობა! საქმიანობა! მოსარჩლე

ევსებ. კევლიშვილი.

კიდევ მიდგომილობა.

გასული წლის შუა თვეებში საქართველოს რ. ს. რ. გზათა სამმართველოში მოძრაობის დარგში ადმინისტრაცია იძულებული გახდა მოსამსახურეთათვის დაერიგებია სამოწყალოსავით არა ყველასათვის, ორ-ორი ხარისხი (კატეგორიის ჯამაგირისა, ამიტომ მან შეიმუშავა გეგმა, თუ ვინ როგორ დაეჯილდოებია, მაგრამ ეს გეგმა თავისთვის საიდუმლოთ შეინახა დანიშნულ დრომდე და რკინის გზათა ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით მიიღო ტეხნიკური კომისია, რომელსაც უნდა დაეცო წვრილ მოსამსახურეთა დამსახურება ამ კომისიაში შედიოდა თითქმის ყველა ს. დ მენშევიკები კომისიის ერთ-ერთი წევრი დაიარებოდა და ეკითხებოდა მოსამსახურეებს, თუ ვის სურდა ჯამაგირის მომატება, ამიტომ ბევრი „მე" გამარჯვებული დარჩა; ვისაც კი მე-ს თქმა არ შეეძლო ისინი უკან ჩამორჩენ პირველებს. დადგა დანიშნული დრო, ადმინისტრაცია და ტეხნიკური კომისია ჩაკეტენ ერთს მყუდრო ოთახში და დაიწყეს მოსამსახურეთა დაჯილდოება ჯერ სიტყვებით და შემდეგ ციფრებით, რომლებიც გამოხატავდნენ ბედ-შავი წვრილი მოსამსახურეთა ბედ-იღბალს აღსანიშნავი ის არის, თუ როგორი ციფრებით უმასპინძლდებოდნენ არა მენშევიკებს. მაგალითად: რასაც ღებულობდა-აწიც მიიღოსო და სხვა. ციფრები ბევრს მიემატა, მაგრამ თუ არ მენშევიკებს აბა ვის? რა თქმა უნდა ხვას�ან შედარებით, და კიდევაც გაუდიდდათ, როგორც ტეხნიკური კომისიის წევრებს. გაიღო მაგრად ჩაკეტილი ოთახის კარები და ყველას ამცნეს იქაური გარდაწყვეტილება, რის შემდეგ ბევრი იცინოდა, მაგრამ, ვინაიდან საქმის ხელ-მეორეთ შებრუნება აღარ შეიძლებოდა ბევრი ბრაზ მოწვეული კბილებს აღრჭიალებდა იმაზე, ვინაც ასე „თავაზიანათ" გაუმასპინძლდა. აქ მკითხველი თავად მიხვდება ვინ იცინოდა და ვინ ბრაზდებოდა. დრო გავიდა და ამ თვის პირველ რიცხვებში ჩემს წინ გადიშალა ზემოთ აღნიშნულზე **უფრო ზედ-მიწევნით** მძიმე სურათი. აქაც ჯამაგირების მომატების შესახებ იყო საქმე თითქმის მთელი მომატება ისევ იმას შეხვდა, ვინაც შარშან მიიღო, მაგრამ ამისთანა ამბების გამომცხადებელს გამოცხადების დროს შეეჯახა საგრძნობი რიცხვი მოპირდაპირე ძალებისა და ამიტომ სიას, სადაც მოთავსებულნი იყვნენ ყველა მოსამსახურენი, ოდნავი ცვლილება მიეცა უკანასკნელის სასარგებლოთ.

აბა მკითხველო დაუკვირდი და ისე მიპასუხე ვინ და როგორ ღებულობს მომატებას?

უთუოდ შეტყვი: ჯერ გაბატონებული პარტიის წევრები და შემდეგ სიმპატია და მოყვრობა-ნათესაობა. რასაც ადგილი არ უნდა ქონდეს თუ ვართ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.—

ერთი ვინმე.

უსამართლობა რკინის გზაზედ კანტორის მუშაკნი.

საქართველოში სპეკულიაციის გამეფებამ ზღაპრული ფასები დაადო საქოვაგეს, რამაც სული შეუხუთა მუშა ხალხს და უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა სწორეთ ამ დროს იყო აღძრული საკითხი სატარიფო პალატაში, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობისა, და სატარიფო პალატამ დაადგინა გაუმჯობესოს საერთოდ მუშის მატერიალური მხარე 25% მომატება ჯამაგირზედ.

ეს დადგენილება ძალაში შეეიდა 1919 წ. აგვისტოში და რკინის გზის მოსამსახურეთ მიიღეს თავის დროზედ ჯამაგირები ახალის მომატებით, გამონაკლიისს შეადგენდა მხოლოთ კანტორის დაბალი მოსამსახურენი.

მათზედ რაღაც მიზეზების წყალობით, არ გავრცელდა აგვისტოს მომატება და ისედაც მცირე ჯამაგირების პატრონნი უფრო შეავიწროეს ეკონომიურათ. მოუსპეს საშუალება ესარგებლათ კანტორის დაბალ მოხელეთ სატარიფო პალატის დადგენილებით.

ამ ფაქტის შემდეგ ჩვენს წინაშე ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი დაისვა, „თუ სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირების 25% გადიდების შესახებ გამოწვიულ იყო საერთო სიძვირის და მოსამსახურეთა აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობის გამო, მაშ რატომ დაბალ მოხელეებზე დაც არ უნდა გავრცელებულიყო ნუ თუ ისინიც იმავე ეკონომიურ უთანასწორობის მძიმე უღლის ქვეშ ღაფავენ სულს როგორც სხვები? ნუ თუ კანტორის მუშაკნი კი არ იწვებიან ბურჟუაზიის მიერ დანთებულ სპეკულიაციის ცეცხლში; ანბანური ჭეშმარიტებაა რაც უფრო მომუშავე და ბალ ჯამაგირს იღებს მით უფრო გაჭირვებას და სისაწყლეს განიცდის მარა ამ პატიოსნურ გრძნობას მოკლებული უნდა ყოფილიყო უსათუოთ ის ვინც გაილაშქრა კანტორის მუშაკებზედ, და ხელებ გაწვდილ მშიერ ბალხს პურის მაგიერ ქვა [illegible]

ამით არ დამთავრდა კანტორის დაბალ მუშაკთა [illegible] თავს დაატყდათ, ეს იყო კატეგორიების წართმევა და გადარიცხვა რაღაც განსაკუთრებულ რაზრიადებში, ეხლა დაწვრილებით არ შეუდგებით იმის აღწერას თუ რა წაერთოთ კატეგორიების მოსპობით კანტორის მუშაკთ, იმას კი ვიტყვი რომ ამ განაჩენით მათ მიესაჯათ სიმშილით სიკვდილი.

ამ რიგათ რაკი 25% მომატება არ გავრცელდა კ. მოხელეებზელ სხვა მომატებაზედაც 4% და 6%—ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა და ამ ჟამათ 400 მ. ყოველ თვიურათ აკლდებათ.

ზედ მეტი არ იქნება საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ ესეთი მაგალითი, რომელსაც დღესაც ადგილი აქვს თბილისის რკ. გზ. დეპოში.

პასუხის მგებელი კანტორის მოხელე, რომელიც პასუხს აგებს თვის მოქმედებაში და დიდი პასუხსაგები საქმეც აბარია როგორიც არის ჯამაგირების გამოწერა, თვიური ანგარიშების შედგენა, შესავალ გასავალი წიგნების წარმოება და სხვა იღებს თვიურათ 60% მომატების შემდეგ 2400 მ. ამავე დროს მისი თანაშემწეთვიურათ აკეთებს 5000 მანეთს სად არის სამართლიანობა?

ეს საკითხი იყო ჩვენი წარმომადგენელის მიერ აღძრული რკინის გზის მუშა--მოსამსახურეთა სადელეგატო ყრილობაზედ ერთ ხმათ იყო დადგენილი კანტ. დაბალ მოხელეთა უფლებები იყოს აღდგენილი და სისრულეში მოსაყვანათ კი გიდაეცა ახლათ არჩეულ გამგეობას. მას შემდეგ გავიდა დიდი დრო, ორი მომატება ჯამაგირების კიდევ, მოხდა და დადგენილმა ყრილობის ქაღალდზედ დაწერილი და წერილათვე დარჩა, ალბათ მუზეუმში წასაღებათ, რაითა მომავალ თაობას წაეკითხნა და გაეგო თუ რა მშვენიერი დადგენილებების გამოტანა შესძლებიაო მის წინა პართ.

ამ უსამართლობის გამო შესდგა შეერთებული კრება თბილისის დეპოს კანტორის მოსამსახურეთა, მთავარ სახელოსნოსი, მთავარ საწყობის და სხ. რომელსაც მრავლათ დაესწრენ და გამოიტანეს დადგენილება რათა სისრულეში იყოს მოყვანილი სადელეგატო ყრილობის დადგენილება და აღდგენილ იქმნენ კ. მ. ძველ კატეგორიებში, დაკლებულ ჯამაგირის მიცემით.

ეს დადგენილება გადაეცა პროფესიონალური კავშირის რაიონულ გამგეობას რომელმაც საჩქაროთ განიხილა ეს საკითხი და გამოიტანა დადგენილება აღძრას შუამდგომლობა ცენტრის წინაშე რათა სამართლიანი მოთხოვნილება კ. მ. იქმას დაკმაყოფილებული, აგერ უკვე თვე გადის რაც ველით ან სიცოცხლის ან სიკვდილის განაჩენს, მაგრამ ჯერ არსადა სჩანს.

„მეთვალყურე".

ჭიათურელი ამხანაგების კრება.

1920 წელს მარტის 16 შესდა საქ. რევ. სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის ჭიათურის ამხანაგების საერთო კრება. კრება სიხარულით და აღფუთოვანებით ეგებება ჩვენი ლამპარის „ახალი ნაკადი"-ს განახლებას და ფიცსა სდებს, რომ ყოველივე ძალ-ღონით დაეხმარება თავის მოსაუბრე გაზეთს და არ დაიშურვებს უკანასკნელს ძალ-ღონეს მის საკეთილ-დღეოთ კრება გულ-წრფელ სალამს უძღვნის აგრეთვე მთავარ გამგეობას და ყველა ჩვენს ამხანაგებს.

თავმჯდომარე: შიშა გოგსაძე.

მდივანი: აბელ. წერეთელი.

რედაქტორ-გამომცემელი

კოლეგია